


წლიური მოთხე

წლიური მოთხე



სამუშაოო ქურნალი

მუსა ვაჟა



თემატიკა 14.

№ 4.

შინაგანი:

ვ. გულბაათიშვილი	შინ და გარედ	3
ვ. რცხილაძე	სანატორიუმი ქვეყანა (გარვულის თხზულებიდან)	6
„მოსავალი“-ს წარმო-		
— მაღვენელი	სოფელის თუთუნი უცხოუთში და ფონდონის ბაზარზე ..	11
პროფ. გენრი	კვება და საკვებავები (თარგმანი)	10
<u>საყურადღებო ცნობები:</u>		

1) ჟოზეფინა დე-მალინ, მადამ დიუპუი, შარლ კონია, ბერგამოტი ქსპერი- ნა, — 2) საქონლის მუცელის შემთხვევა, — 3) რდემსკდარ ძეძუზე წასესმელი წამალი, — 4) ლიმონის სის ტილის წამალი, — 5) საქონლის ტილი, — 6) სი- სხლის უესაჩერებელი საშუალებანი, — 7) საქონლის სხვადასხვა საკვებავების შედარება	14 — 15
განცხადებანი	16

უურნალი წელიწადში ღირს — 3 მანეთი. :::: მისამართი: თბილის, ვარაუბანი 5.

სამეცნიერო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ყრთხელ)

წარსულ წელს შემონაცვალი იღებდნენ მთხოვნილებას: — ახორცილი ვ., ანაზდეული ბ., ახალია ი., გულბაათიშვილი გ., გადმიტვეწილი ზ., გვარამძე ილ., გორიაშვილი ლ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშვილი გ., მელია პ., მილიანი ლ., ბაჩაბელი ა., მაჩაბელი ი., ნახუკრიშვილი გ., როლოვი ა., რესიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩიგაძე ე., ჩხერიძე უ., ცხადაძე გრ., ღ—ძე ლ., მღ. ჯალიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., შ—ლი ვ., უნგველია ვ.

რედაქტორი მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებოდ.

შურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორმ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექციონები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დახაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გაბალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკენელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თ. რ. შაური.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტორი შურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასო დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

შინ და გარედ

რო დაუფიქრდეთ, გასაოცარ მოვ-
ლენას წარმოაღენს ჩვენს ხალხში არ-
სებული ხვნა-თესვის ეკონომიკა.

ოთხი კაცი (გუთნის დედა და სამი
შეხრე) და რვა ულელა ხარ-ჯაშები სულ
რო ცოტა დღეში თორმეტ საათს იწუ-
რებიან ოფლში ერთი დღიურის გადა-
ბრუნებაში, სთესავენ თექვსმეტ ლი-
ტრა პურს და ცხრა თვის შემდეგ ან
მიიღებენ 6—7 კოდს, ან იმასაც არა.

თუ ალოც სასყიდელი აქვს ოჯახს
და მიწაც საქირავებელი, მაშინ ამ შეი-
ძი კოდი მოსავლიდან მეოთხედი მი-
წის ნატრონს, სამი კოდი (ანუ ექვსი
მანეთის ალოს ფასი) ალოს და დარჩე-
ბა ორი კოდი და ორნახევარი ლიტრა
ანუ, კოდი რო ორ მანეთობაზე ვიან-
გარიშოთ, ოთხი მანეთი და 50 კაპ.

გამოდით ეხლა აქედან ორი მანეთი
მოსამკალი, რადგან ერთმა რო თვით
შეოჯახებ იმუშაოს, ორი მუშა სხვა
დასჭირდება, კაცი მანეთად, მანეთიც
ძნის მოტანა და, თუ ბზეზე გაალეწი-
ნებს ხარიან კაცს, დარჩება სულ მა-
ნეთ ნახევრის ლირებული პური ანუ
შეიდ ლიტრა ნახევარი, ესე იგი იმის
ნახევარი მხოლოდ, რაც დათესა.

აქედან გამოდის რომ ჩვენი მეურნე,
რომელსაც უხნავად ვერ გაუძლია, ხნავს
იმიტომ კი არა რო ხელობა იგი მო-
შცემიანია მისთვის, არამედ იმიტომ
რომ ხვნა-თესვა ერთი ხელობათაგანია
მისი და თავი რომ მიანებოს ამ ხე-
ლობას აღარ ეკოდინება რას მოახმა-
როს თავისი მარჯვენა რომ მშიერი არ
მოკვდეს.

მაშასადამე მაცხოვრებელი მისი მო-
გებიანი მეურნეობა კი არ არის, რომ-
ლის შემოსავალი ზედმეტი უნდა იყოს
გასავალზე რომ მომგებიანი გახდეს,
არამედ მეურნეს მთელი სიცოცხლე
მის მარჯვენაზე, მის საკუთარ სხეუ-
ლის ფიზიკურ ენერგიის დახარჯვაზე
ყოფილი დამყარებული. რო იტყვიან
„ოფლითა შენითა ჰპოებდე ლუკმასა
შენსა“, ეს თქმა თავისი პირდაპირი
აზრით ზედგამოწრილი გამხდარა ჩვენს
მეურნესათვის, რომელიც შჩომობს
და ცხოვრობს ვიღრებდისინ ჯანი შეს-
წევს და მუშაობა შეუძლიან და თუ
როგორმე დაითხჩა, შეაჩერა თავისი
მარჯვენა ან ავადმყოფობისა გამო, ან
სხვა რამ მიზეზით, იმისი მოწყობილი
ცხოვრება ძირიან - ფესვიანად ირყევა
უეცრად და გუშინ შეძლებული მეო-
ჯახე დღეს ლუკმა-პურის ნატრული
ხდება.

გამბობთ „ლუკმა-პურის ნატრული“
იმიტომ რომ ჩვენი გლეხი წლითი წლო-
ბით მხოლოდ თითქმის ცარიელი პუ-
რით იკვებება თუ კი აქვს საჭმელად
საკმარისი.

ხვნა-თესვით რომ მოსდიოდეს ეს პუ-
რი რამდენიც უნდა, მაშინ იგი ამ ხვნა-
თესვის გარეშე შრომით ყველა თავის
დანარჩენ მოთხოვნილებებს აღვილად
დაიკმაყოფილებდა და წარმატების გზას
დაადგებოდა მასი ცხოვრება, მაგრამ
მაგარიც ის არის რომ, როგორც ზე-
მოთა ვსთქვით, საჭმელი პურიც არ
შემოსდის მას ხვნა-თესვიდან საკმარისი
და ი სწორედ ამ ლუკმა-პურის სა-

შოვნელად წვალობს და შრომობს იგი დანარჩენს ღროსაც მთელი თავისი წუთისოფელი.

გლეხ კაცს რო კითხო, ესეთი ყოფა-ცხოვრება ღვთით არის დაწესებული მისთვის და არაფერი არ შეუძლიან მას წინააღმდეგ ამისა მოიმოქმედოს.

ამგვარად შეუტყეველი ხდება მისი ცხოვრება მის უვიცობაზე დამყარებული მკვიდრად.

მაგრამ როდემდე?

იქამომდე, სანამ უფრო ძან მოეჭირება მას შიმშილის მუხრუჭი, ვიტყოდით ჩვენდა დასამშვიდებლად, მაგრამ ვაი თუ მაღამდე სრულებით გამოეცალოს მას ხელიდან ის ნიადაგი, მიწა, რომლის უკეთესი დამუშავებით უნდა ოდესმე მაინც გაუკეთესოებულიყო მისი ცხოვრებაც. 'შეიძლება მაშინ შეგნებაც ჰქონდეს მას მაგრამ ამ შეგნების გამოსაყენებლად საკუთარი მიწაწყალი კი აღარ ეჭიროს ხელთ და შედეგი მეურნეობის გაუმჯობესობისა სხვასა ჰქონდეს წილად.

ნეტარება მათ ვისაც ეს შიში არ აწუხებთ ღლეს, შეჰლალადებენ შხოლოდ ჩვენს წარსულს და აწყოსთვის კი ზურგი შეუქცევიათ. ნეტარება ჩვენს მოზარდ თაობას, რომელიც გადაგრძელია ქვეყნის საქმეზე და საკუთარი კერა კი დავიწყებია. ჩვენის აზრით კი ესეთი შიში საფუძვლიანობას არ არის მოკლებული. სიმრავლე რომ ჰქონდეს ჩვენს ერს კიდევ ჰო, მაგრამ ორი მილიონი ხალხის ბინის მოშლა განა რა მაგრე ძნელია...

აი ამიტომ გამოიბოდა დარწმუნებით: ღროა გამოვფხიზლდეთ, დაუფიქრდეთ ჩვენს ცხოვრებას და წამალი რამ დავსღოთ ჩვენს თავს.

რაც უფრო მეტად ვაკვირდებით ჩვენს გაფხეკილ მინდვრებს, შაშბმორეულ უცურო ყანებს, აჩალავებულ სიმინდებს, კუკუხო ამოშვერილ შესაბამ საქონელს და სსვ., იმდენი ღრმად ვრწმუნდებით, რომ უმთავრესთაგანი საშუალება ჩვენი მეურნეობის გამობრუნებისა ეს საკვებავი ბალახების თესვის შემოღება უნდა გახდეს.

ამით ის კი არ გვინდა ესთქვათ რომ სადაც გინდა და არ გინდა ბალახიუნდა ვთესოთ, არამედ ის რომ საცახვნა-თესვას მისდევენ, იქ ხორბლეულ მცენარეების ჰურის, ქერის, სიმინდის გარდა საკვებავი ბალახების თესვაც უნდა შემოიღონ მიუხედავად იმისა მემამულეებს დიდი ხოდაბუნები აქვთ, თუ თითო კუკნა ადგილები უჭირავთ.

ბრაზით ეცსება ადამიანს გული როდესაც ხელავ ჩვენებულ საქონელს, რომელიც ზამთარში გზადაგზა ეწვდება ტალახში ამოსვრილს ნამჯას და ჩეჩქს, აღრე გაზაფხულზე ნეკერით იკვებება, ზაფხულობით ღობე-ღობე ექებს ჭინჭარს და მთელი წელიწადი გაუმაძლარი დადის.

ხარი ხარს აღარა გავს, კამეჩი კამეჩის, ფურები ხბორებს დამზადეს გებიან. ესეთ საქონელს ან რა მუშაობა შეუძლიან, ან რა სასუქის მოცემა. სამრჩენებური ხარი ერთი კულტურული ხარის წონა არ გამოდის, რვა-ცხრა უღელს ყევრის საქმე ვერ გაუკეთებია.

„როგორიც ერი ისეთი ბერი“. მინდვრებიც ესეთი გახრიოკებული და გამოფიტული გვაქს, გუთანმაც მალლა ამოიწია და უველა ამის შედეგად კი ის გამოდის რომ ჩვენში, სადაც სამოსავლო პირობები ბუნებრივი გაცილე-

ბით უკეთესია ვიღრე სხვაგან, დღე-
ტინა 30—40 ფუთს მოსავალს იძლე-
ვა, როდესაც რომ სხვაგან 200 ფუთს
ქვევით არ ჩამოსცილებია.

ჩვენი გლეხი კი ნაცარქექიასავით
ჩიჩქნის თავის მიწას ძველებურად და
ჰელონია რომ იმაზე კარგად იმისი ხე-
ლობა ქვეყანაზე არავის არ გაეგება.
არა ცდილობს ან წაკითხეით, ან წა-
კითხულის გაგონებით რამე გაუმჯო-
ბესობა შეიტანოს ამ თავის ხელობა-
ბაში. ისევ სხვა რამეც დაგიგდებს
ყურს და თავის საკუთარ საქმეზე კი არა,
რადგან გარეშე თავის სიზარმაცისა და

დაუდევრობისა თუ რამ სხვა მიზეზი
აქვს მას, ეს მიზეზი უფრო იმაში მდგო-
მარეობს, რომ თავის საქმეში თავისი
თავი მას ბრძენთა ბრძენი გონია და
სხვის სწავლებას არ საჭიროებს.

იქ კი, სადაც ცნობის მოყვარეობა
სჭირობობდა ამ სიზარმაცესა და ჯიუ-
ტობას, წამალიც მალე უპოვეს თავის
გაჭირვებას. ჩვენა გვაქვს სახეში უწინ
აფიცირად ყოფილს გემზედ იტალიელ
მეურნეს სოლარის მიერ შემუშავე-
ბული წესი ხენა-თესვის გაუმჯობესო-
ბის შესახებ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

8. გულბაათიშვილი

სანატორიუმი ქვეყნა

(გარეულის თხზულებიდან)

მესაქონლეობა

არცერთ სამეურნეო დარგზე ამერი-
კის შეერთებულ შტატებში არ ითქმის
რომ იგი ყოფილიყოს იმდენად სახი-
ფათო, იმდენი ჰყოლოდეს მტერი, ისე-
თი ფართო სარბიელი მისცემოდეს სი-
კეთისა და ბოროტის განსახორციე-
ლებლად, როგორც ყველა ამას მესა-
ქონლეობაში ჰქონდა აღილი.

არცერთ სამეურნეო დარგში არ უსა-
რგებლნია ფულის პატრონს ხალხის
სიღარიბით ისე, ისე არსად არ გათა-
რეშებულა გულცივი დაუნდობლობა
ადამიანისა პირადი ინტერესის დაცვა-
ში, როგორც ეს მესაქონლეობაში ხდე-
ბოდა.

მაგრამ ესეთმა სიღუბჭირემ ამ დარგ-
შიაც ვერ შეაჩერა სამეურნეო წარმა-
ტებისაკენ აღორძინებული მისწრაფე-
ბა სანატორელ ქვეყანაში.

ის დიდი შედეგი, რომელიც მოჰყვა
ამ აღორძინებულ მისწრაფებას, საქონ-
ლის ჯიშის გაუმჯობესობით და გამრავ-
ლებით არის მიღებული.

ჯიშის გაუმჯობესობა ხდებოდა შიგ
რჩეული საქონლის სისხლის შერევით
და საუკეთესო წარმომადგენლების გა-
დარჩევით მოსაშენებლად.

ეხლაც თვალწინ მიღვა ის აღტაცე-
ბა, რომლითაც ერთ მშვენიერ საბაზ-
რო დღეს მთელმა ბაზრის ხალხმა მია-
ნება ბაზარს თავი და იგრიალა იმ მოე-
დნისაკენ, სადაც უნდა გამოეტარე-
ბინათ საფრანგეთიდან მოყვანილი დე-
ვი-ცხენები, ამერიკელებისგნით ჯერ
უნახავი, პერშერონები, ფერადი ლენ-
ტებით შემოსილნი მათი სახელების ზედ
წარწერით.

ასე მეონია თითქმ დღესაც მესმის
ის გუგუნი, რომელიც ხალხის ტაში-

თა და „ვაშა-ვაშა“-ს ძახილით იყო გა-
მოწვეული.

ყველა იქ დამსტრეს გულისძგერისა-
გან აღმული ასდილდა პირისახეზე.

ეს იყო პირველი გამოფენა მძიმე
საპანეზი შესაბმელი საფრანგეთის ცხე-
ნებისა.

მახსოვს, ხალხის წინა რიგში იდგა
დაბალი ტანის მოხუცი კეკლუცი სა-
ნახაობისა, როგორი სანახაობაც სამხ-
რეთის შტატების წარმომადგენლებსა
აქვთ ხოლმე: ყოველ ტაშის დაკვრაზე
და ხალხის აჩონჩქოლებაზე ცხენი რო
გამოივლიდა ამ მოხუცებულის თვალე-
ბი რაღაც სიამაყეს მეტყველობდნენ
მის გახარებულს პირისახეზედ.

მოხუცი იგი იყო პირველი დამწყო-
ბი ამ საქმისა, რომელმაც შემდეგ ში
პირდაპირ უანგარიშო სარგებლობა მო-
უტანა სანატრელ ქვეყანას შინაური
ცხოველების ჯიშების გაუმჯობესობა-
ში.

ამ პირველი გამოფენით გაღვიძებუ-
ლი ინტერესი აპრიალებული ცეცხლი-
ვით მოედო საქონლის გაუმჯობესობის
საქმეს მთელს შეერთებულ შტატებ-
ში.

ვისაც კი მოშენე საქონელი ჰყვანდა,
ყველა იმის ფიქრში იყო სად და რო-
გორ ეშოვნა საუკეთესო ჯიშის ბუღა,
ულაყი, ჭედილა ცხვრისა, ტახი ღო-
რი, მამალი ქათამი, ან ონაგარი ფუ-
ტკერი, რომ მათი სისხლის შერევით
უკეთესი ჩამომავლობა მიეღო თავის
საქონლიდან.

ჯიშიანი საქონელი უშინაც ბევრ-
ჯელ მიყვანილა ამერიკაში.

ჯიშიანი მსხვილფეხა საქონელი პირ-
ველად კოლუმბმა მიყვანა ვესტ-ინდო-
კონტინენტი, მერე აქედან 1525 წელს გადა-

ვიდა მექესიკაში, შემდეგ კალიფორნია-
ში, ტეხასში და სხვაგან.

ჯიშიანი ცხენებიც კოლუმბისაგან
იყვნენ პირველად მიყვანილნი და ძა-
ლიანაც გამოადგნენ დე'სოტუს დასავ-
ლეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს.

ჯიშიანი ცხვარიც ესპანელების მი-
ყვანილია ამერიკაში. ესპანელ მისიო-
ნერებს გადასულებს მექესიკან ჩრდი-
ლოეთისაკენ, იქ სადაც ეხლა კალი-
ფორნია მდებარეობს, ვენახებისა და-
ხილის ბალების გარდა დიდი ცხვრის-
ფარაც ჰყავდათ მოშენებული, რომელ-
შიც ერთ დროს მილიონზემდე ცხვარი
ითვლებოდა იმ ცხვრების გარდა, რაც
თვითონ ულ ოჯახს მისონერებისას სა-
კლავათა ჰყვანდათ შინ დარჩენილი.

ესპანელების შემდეგ ინგლისელებმა
იწყეს ჯიშიანი საქონლის გადაზიდვა-
ამერიკაში 1624 წლიდან, მათ მიჰყ-
ნენ გოლანდელები 1627 წლიდან, მერე
დანიელები ისე რომ ადგილობრივ სა-
ქონლის ჯიშებ შორის შეხვდებოდით
დეონის ჯიშსაც, შორტგორნს, გე-
რარდს, ვალოვეისის ჯიშსაც და ალ-
დერნეიდსაც. მაგრამ მიუხედავად ამისა
ამერიკულ საქონელს საერთოდ არ-
ვითარი გაკულტურება მაინც არ ეტყო-
ბოდა, ვიდრე ზემოხსენებულ ჰერშე-
რონების გამოფენას არ მოახდენდნენ
და ინტერესი საქონლის ჯიშის გაუმ-
ჯობესობისა ცეცხლივით არ მოედე-
ბოდა სანატრელ ქვეყნის ყველა მესა-
კონტინენტის.

ეხლა კი საქონლის გაუმჯობესობას,
რომელიც წინად მოყვარულთა ხელო-
ბას შეადგენდა, კომერციული ნიადა
გი აქვს მიცემული, რასაც ხელი შე-
უწყო დასავლეთ ამერიკაში გაძლიე-
რებულმა ხენა-თესვამ, რომელმაც შე-

სამჩნევი ფასი დასდო მუშა საქონლოს და მოახდინა ის რაც უნდა მომხდა-რიყო—1850 წლიდან დაწყობილი 1900 წლამდე ცხენების საერთო რიცხვს ამე-რიკაში თითქმის 300 პროცენტი შე-ჰქმატა.

შერთებულ შტატებში დღეს ოც-დაერთ მილიონზე მეტი და არა ნაკ-ლები ცხენი ითვლება საერთოდ, თუმ-ცა ველოსიპედების, მოტოციკლების, ავტომობილების შემოღებით ავტო-ლებდნენ შიშის ვითომ ცხენები სრუ-ლიად საჭირონი აღარ იქნებიან. 1890 წლიდან 1904 წლამდე ქალაქ ჩიკაგოს გამოფენაზე ცხენის ფასმა თითდან ოც-დათხუთმეტ დოლარამდე აიწია.

ლირსშესანიშნავია რომ შეერთებულ შტატების საერთო მართველობამ თა-ნახმად კონგრესის დადგენილებისა გან-საღვრა როგორი ტიპისა უნდა იყოს ამე-რიკული შესაბამი ცხენი. ეხლა იქ მთელი რიგი ცდები აქვთ მოწყობილი იმ აზრით რომ როგორმე შეიმუშაონ განსაკუთრებით ამერიკელებისთვის შე-საფერი ისეთი ახალი ცხენის ჯიში, რომელსაც არავითარი დამოკიდებუ-ლობა არ უნდა ჰქონდეს უცხო ქვეყ-ნების ცხენებთან.

მესაქონლეობის ყველა დარგში ამე-რიკელები ცდილობენ თავიანთი ძაღვი-ლობრივი ძველი ჯიში დაიცვან და გააუმჯობესონ.

ეს გაუმჯობესობა გამოიწვევა ახალი სისხლის შერევით, მაგრამ უმთავრესად კი უფრო იმაზედ არის დამყარებული, რასაც საქონლის კულტურა ეწოდება, ესე იგი როდესაც გაუმჯობესობა სა-ქონლისაც და მისი ნაწარმოებისაც ხდე-ბა არა მარტო სისხლის გაახლებითა და საუკეთესო წარმომადგენლების გა-

დარჩევით მოსაშენებლიდ, არამედ გა-მოცდილებით შერჩეულ მათვეის სა-კვებავების წეს-რიგზედ მიცემითაც.

მთელი პროგრესი მესაქონლეობაში დამყარებულია ჯიშის საუკეთესო წარ-მომაღენლების არჩევანზედ და არჩე-ულების წესიერს გამოკვებაზედ.

წესიერი გამოკვება უნდა ხელმძღვა-ნელობდეს ორის მიზნით: შეიმუშაოს როგორც მოსაშენებელიდ ისე ბაზარ-ზე გასაყვანად საუკეთესო ჯიში და ამ მიზნის მიღწევა დაისვას რაც შეიძ-ლება ნაკლებ ფასში.

ფლანგვა ყველაფრისა ყველაფერში ერთი უძნელესთაგანი ჭირი იყო ამე-რიკელების ძველი მცურნეობისა.

უწინარეს ყველისა საკვებავების გა-მოცდამ ჯერ ამ უაზრო ფლანგვას მო-ულო ბოლო.

ძნელად იპოვით იმისთანა მაგალი-თებს რომ ესე აშკარად ჰყოფლენენ შე-ცნიერების სარგებლობას, როგორც ეს იმ უთვალავი გამოკვლევებიდან სჩანს, რომელიც ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში მოუხდენია შერთებულ შტატების მართველობას საქონლის სა-კვებავების შესწავლაში.

ავილოთ თუნდა მაგალითად ცხენის საკვებავების შესწავლა.

ყველა ამ აზრით მომხდარი გამოკვ-ლევანი აშკარად ამტკიცებენ რომ მთე-ლი იმ საკვებავიდან, რომელიც ცხენს ეძლევა, მხოლოდ ოცდათოთხმეტი პროცენტი გადადის სამუშაოდ გამო-საყენებელ ენერგიად, დანარჩენი სა-მოცდაექვსი პროცენტი კი ოვით ცხენს-ვე სჭირდება თავის შესანახად ვით მა-შინა.

გამოკვლევა იმდენად ზედმიწევნით სწორედ არის ასრულებული, რომ შე-

საძლებელია მაგალითად დამტკიცდეს რომ ორი პროცენტი იმ ენერგიისა, რომელიც შერჩის საკვებავით ეძლევა ცხენს, თვით ამ შერჩის დაღვევაზე და მონელებაზე იხარჯება და თუ ამასთან ციფრა კიდევაც ცხენის სადგურში, ორი გირვანქა შერჩია ყოველდღე იმ სითბოს აღდგენაზე მიდის, რაც ცხენს დაკლდა სადგურის ზომაზე მეტად გაციებით.

დამტკიცებული იქმნა აგრედვე რომ თუმცა ცხენი საკვებავით მიღებულ ენერგიიდან გარტო ოცდათოხმეტ პროცენტს ახმარებს მუშაობას, მაგრამ მისი სხეული მაინც ნაკლებს ხარჯავს თავის თავზე, ვიდრე საუკეთესო ორთქლის მაშინა, რომელიც დასაწვავ მასალიდან მიღებულ ენერგიის მარტო ოცდაექვს პროცენტს იძლევა სამუშაოთ და დანარჩენს კი თავის გათბობა-გახურებაზე იმდომებს რომ სამუშაო ძალას წარმოადგენდეს.

ყველაზე დიდი კამპანია, რომელიც ეტლებს აწარმოებს ქალაქ პარიზში, სულ რო ცოტა ერთი თრასი თასით დოლარით მაინც იმცირებს ყოველ წლივ ხარჯს ცხენების გამოკვებაზე მარტო იმით რომ კამპანია იგი თანახმად საკვებავების მეცნიერულ შესწავლა-გამოკვლევისა სიმინდით ჰქვებავს თავის ცხენებს შერჩის მაგივრად.

შეელ წელიწადებს ამდომებენ შეერთებული შტატების საცდელი სადგურები ისეთი რაციონების*) შედგენას, რომელიც უნდა იყოს ადვილი მოსანელებელიც, ნოუიერიც და მასთან იაფრიც.

*) რაციონი, ჰქვიან ჯერზე მისაცემს სხვა-დასხვა საკვებავებიდან შეზავებულს საშმელს.

ამ საცდელ სადგურებზე ცდილობენ გამოძებნონ საშუალება როგორ გააიაფონ ხორცის, ერბო-კარაქის, რძის, კვერცხის და ყველა სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა მიღება.

ძველი დროის მეურნე გაკვირვებიდან ვერ ამოვიდოდა, რომ იმისათვის დაევალებინათ ისეთი ძროხის ყოლა, რომელიც ერთდაიგივე დროს რძესა და ერბო-კარაქსაც ბლომად მისცემს და ხბოსაც გაასუქებს ბაზარზე გასაყიდად საკლავად. არა ნაკლებ განცვიფრდებოდა ძველი დროის მეურნე როდესაც გაიგებდა რომ ერთი სამეურნეო სასწავლებელთაგანი ამერიკაში იკვლევს ქალა საშუალებას როგორ დააჩვიონ ცხვარი ადრე დადოლებას, რომ ბატკანი უფრო მაღალ ფასებში იყიდებოდეს.

მოელი დიდი წიგნი დაიწერება რომ ყველა გვარ ცდების ჩამოთვლის შევუდგით, რომელსაც კი სანატრელ ქვეყნის საცდელ სადგურებზე ასრულებენ მეურნეობის წარმატების მიზნით.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

ტენებში შემოილეს იონჯის თესვა საქონლის საკვებავად. დაბტყო თუ არა ტენესის საცდელმა სადგურმა რომ ეს საქმე ფეხს იკიდებს, მაშინადევ შეუდგა ამ ბალახის ლირსება-ნაკლულევანების გამოკვლევას და იმორჩინა რომ არამც თუ მარტო იონჯა, არამედ ბევრ სხვა ცერტიფიციალ მცენარეებსაც მშვენივრად შეუძლიანთ ძეირად ლირებული ხორბლეულ-ფქვილეულ საჭმელების მაგივრაბა გასწიონ. ამას გარდა პურის ქატოს მაგივრად აღებული იონჯა უფრო ნაკლებ ხარჯს თხოულობს

ქატოზედ. ძროხას რომ პურის ქატოს მაგივრად, რომელიც ღირს ტონა 20 დოლარი, მიეცეს ონჯა ღირებული ტონა 10 დოლარი, ყოველ 100 გირვანქა კარაქის მისაღებად 2 დოლარით და 80 ცენტით ნაკლები დაიხარჯება საკვებავზე, ყოველი 100 გირვანქა რძის მიღება 19,8 ცენტით გაიაფლება.

ბევრი სხვა საკვებავი გამოიცადა ამერიკის საცდელ სადგურებზე და აღმოჩნდა რომ მაგალითად ჭარხლის ბადაგის მონარჩენი შაქრის ზაოდებზე, რაც ისე უბრალოდ ფუქდებოდა, მშვენიერი საკვებავია ხარებისათვისაც და ცხვრებისთვისაც და თანაც გაცილებით იაფი ჯდება.

უტახის საცდელ სადგურზე გამოიცა კვლიერ რომ როცა მოზერებს ხორბლებულ საჭმელს აძლევენ, თითო ას გირვანქა წონის მომატებაზე 4 დოლარის 93 ცენტის ღირებული საკვებავი იხარჯება და თუ წმინდა ხორბლის მა-

ვივრად სიმინდი აჭამეს ჭარხლის ბადაგში არეული, მაშინ იმოდენავე წონა მატულობს 3 დოლარის 98 ცენტის ღირებული საკვებავის მიცემით, ესე იგი ამ მეორე შემთხვევაში საკვებავი ჯდება თითქმის ერთი მთელი დოლარით ნაკლები.

ილინოისში, სადაც თითქმის ოთხი ათასი მეურნე მისდევს საკლავ საქონლის მოშენებას და გაჰყავთ ბაზარზე ყოველ წლივ გასაყიდად 200,000—300,000 სული საქონელი, გამოიანგარიშეს რომ მარტო ერთს გამოკვლევს მეცნაერულს ნიადაგზე დამყარებულს, შეუძლიან თითოეულ სულს საქონელზე ერთი მთელი დოლარით მეტი წმინდა მოგება მისცეს საქონლის პატროხს.

ამ ანგარიშით მარტო ერთი ილინოის შტატის წმინდა მოგება საქონლიდან ორნახევარი მილიონი დოლარით იმატებდა წელიწადში.

ვ. რცხილაძე

სოხუმის თუთუნი საერთოდ უცხოეთში და პერძოდ ლონდონის გაზარჩევა

სულ ოთხი წელიწადი იქნება რაც სოხუმის თუთუნი ევროპის და ამერიკის ბაზარზე გამოვიდა. მას ხელს უწყობებს ისმალეთში თუთუნის გაძვირება და სოხუმის თუთუნის კარგი ღირსება. თუ ამდენად იზრდება ეს საქმე ამას გვიჩვენებს უკანასკნელი წლის სტატიკა, რომლიდანაც ვხედავთ, რომ 1911 წელს გრძმანიაში 35,000 ტალი თუთუნი შეუტანიათ.

სოხუმის თუთუნის უცხოეთში გატანაში დიდი ღვაწლი მიუძლვის ჩვენს თანამემამულეს ვაჭარს რაფილ გოკილოვს, რომელიც აგერ ოთხი წელი წადია რაც სოხუმიდან ეზიდება თუთუნს. მან პირველად ეგვიპტეში გაიტანა თუთუნი და იქაურ ბაზარზე სოხუმის თუთუნს სახელი გაუთქვა. 1911 წ. წავიდა ნიუიორკში და იქაც დაიჭირა საქმე მექარხნეებთან და დღესაც გზავნის ბევრ თუთუნს.

ამა წლის იანვარში ბ-ნი გოკიელოვი გვეწვია ლონდონში, სადაც გავაცანით მეთუთუნებს და მექარხნეთ და აქაც დაიჭირა საქმე. ლონდონიდან გაემგზავრა ანტვერპენში და გამბურგში, სადაც აგრედვე კარგად მოაწყო თუ-თუნის საქმე.

ბ-ნი გოკიელოვი ძლიერ კარგად იცნობს თუთუნის საქმეს და ღიღი გა-

მოცულილების პატრონია. ამ საქმის ცოდნით მან აქაც ძლიერ კარგი შთაბეჭდი-ლება მოახდინა.

თუთუნის საქმე ძლიერ ბევრ ცოდნასა და გამოცულილებას მოითხოვს და ამიტომ ძლიერ სასიამოვნოა, რომ ამ დიდ საქმეს დასაწყისი უკვე მიეცა.

„მოსაფალის“ ლონდონის აგენტურა.

პეჩა და საპეჩავები

საჭალის მონალება

რასაც ცხოველი საკვებავს შესჭამს იმის მხოლოდ რაოდენიმე ნაწილის მონელება შეუძლიან მის სხეულს, დანარჩენი კი მოუნელებელი რჩება და გამოდის გარედ.

ამ მხრივ საკვებავები ყველა ერთნაირები არ არიან. ზოგნი მეტად ხმარ-თებიან სხეულს, ზოგნი შედარებით ნაკლებად.

რომელი საკვებავი რამდენი შეიძლება მოინელოს სხეულმა და რამდენი რჩება მოუნელებელი, ამას ასე იკვლევენ:

შლიან საკვებავს ჯერ ქიმიურად, იგებენ რომელი სინოყივრე რამდენია ამ საკვებავში პროპორციულად, მერე აქმევენ ცხოველს ამ საკვებავს განსაზღვრული ზომით და აგროვებენ გამონავალს, რომელსაც სწონიან და იკვლევენ რომელი სინოყივრე რამდენი გამოყვა მას მოუნელებელი.

რაც დააკლდება სინოყივრეთა რაო-დენბას ცალკ-ცალკე შედარებით იმასთან, რაც საკვებავში იყო სანამ იგი შეიჭმებოდა, ის მონელებული იქნება

მონელებულ ნიგორებათა გამო-ვლენა ცხვრის სხეულში

მოვიყვანთ აქ როგორც მაგალითს იმ გამოკვლევას, რომელიც ვისკონსინის სადგურზე იყო მომხდარი.

განგებ ამისათვის ააგდეს ორი ცხვრის საკმარისი დასადგომი შენობა. ჯერ აწონეს ორივე ცხვრები და თითოეული წონა მათი 87 გირვანქა დანიშნებს.

რომ საკვებავიდან არაფერი არ დაბნეულიყო ჭამის ღროს, საჭმელს ცინკით მუკრულ ყუთში უყრიდნენ. საკვებავი მიცემის წინად იწონებოდა ყოველ დღე და ოდებულს აქედან ნიმუშით იკვლევდნენ მის შეღენილობას.

განავალი გროვდებოდა პატარა ტო-პრაკებში, რომელიც უკანიდანა ჰქონდათ ცხვრებს ჩამობმული თასმებით. ყოველ 24 საათში ერთხელ სულიდნენ ამ ტოპრაკებს და სწონავდნენ რაც შიგ იყო.

რომ წინად მიღებული საკვებავის ნარჩენი არ არეოდა მუცელში ზომით მიცემულს საჭმელს, მოგროვება და

აწონვა განავალს დაუწყეს შხოლოდ ექვი დღის შემდეგ ცდის დაწყები- დან.

თითოეულ ცხვარს ცდის დაწყები- დან პირველ ხანად ეძლეოდა ყოველ დღე 700 გრამი თივა სამყურა ბალა- ხისა, რომელიც იჭმებოდა პირწმინდად.

**რამდენს ინელებს დღეში და რამდე-
ნი რჩება მოუნელებელი სამყურა
ბალახის თივიდან, როცა ამ
თივას ცხვარი სჭამს.**

ნახშირწყლები.						
ში ცხვარს 700	წელი	წელი	წელი	წელი	წელი	წელი
გრამი თივა, რო-	წელი	წელი	წელი	წელი	წელი	წელი
მელიც შესდგე-	წელი	წელი	წელი	წელი	წელი	წელი
ბოდა	586.6	77.7	191.5	276.7	10.7	
განავალი იყო						
610 გრამი, რო-						
მელიც შესდგე-						
ბოდა	288.5	40.4	101.5	119.4	7.9	
მაშასადამე						
მონელა	297.5	37.8	90.0	157.3	2.8	
ანუ %	50.8	48.0	47.1	56.8	26.2	

ასევე იკვლევენ სხვა საკვებავების მონელებასაც. ამა თუ იმ საკვებავის მონელების შესწავლაში მაგარი განა- ვალის შემადგენელი ნივთიერებანი, რაკი სხეულიდან გარედ გამოდიან, ითვლებიან ისეთგვარ ნივთიერებებათ. რომელთაც ხარშვა არ ეკიდებათ, მო- უნელებელი ნივთიერებანი არიან. ხო- ლო ესეთი დასკვნა განავალის ყველა შემადგენელ ნივთიერებისათვის მართა- ლი არ იქნება, რადგან არიან მათ შო- რის თვით ცხოველის სხეულისაგან განშორებული ნივთიერებანიც რო- გორც მაგალითად ნაღველის ნარჩენე- ბი, ნაწლევების ანაფლეთები და სხვ., რომელნიც არ ეკუთვნიან მოსანელე-

ბელ ნივთიერებებს და გამოცალკევებს კი მათი შეუძლებელი ხდება.

ჯორდანის გამოკვლევით ხორბლე- ული საკვებავი, მაგალითად სიმინდი, რომ დაიფქვას მსხვილად და ისე მიე- ცეს ცხენს, ეს უკანასკნელი 140/0-ით მეტს მოინელებს ვიდრე დაუფქვავს მოინელებდა.

სიმინდის ფუჩქჩი მოხარშვით ან და- დუღებით გემრიელდება, ხოლო უფრო ძნელი მოსანელებელი კი ხდება შედა- რებით.

კართოფილი და ალბად სხვა სახამე- ბლიანი ნაყოფებიც ბევრით ადვილი მოსანელებელნი არიან როცა მოხარ- შულს ვაძლევთ, ვიდრე უმი რომ მივ- ცეთ.

აზოტით მდიდარი საკვებავები ქერი, შვრია და სხვ. რომ მივუმატოთ თი- ვას, ამ უკანასკნელის მონელება ამით არ ადვილდება.

შაქარი და სახამებელი არეული თი- ვაში უფრო ამძიმებენ მას, როგორც საჭმელს, ძნელდება მისი უმი პროტე- ინის და ხეჭვების მონელება. ხოლო თუ ამ შაქართან და სახამებელთან ერთად აზოტნარევი საკვებავიც მიუმატეთ თი- ვას, მაშინ კი ეს დამძიმება აღარა ხდე- ბა.

ნედლი საკვებავი უკეთუ არა მო- აკლდა-რა მას დაჭინობით, არც ჩა- ბურდა, მაშინ არცა მძიმდება იგი მო- სანელებლად. მხოლოდ ისეთი შენახვა საკვებავისა რომ დაჭინობა-გახმობაში არა მოაკლდეს-რა ძრიელ ძნელია, ნორ- ჩი ნაწილები გახმობით სცვივა ბალახ- და ამიტომ თუ მეტადრე ჩაბურდა- ჩამეავდა კიდევაც, ძნელი მოსანელებე- ლი ხდება შედარებით შწვანე ბალახ-

თან და ოლარც გემო აქვს ისეთი კარგი.

მზეზე გამხმარი თივის ხეჭეჭი უფრო ადვილი მოსანელებელია, პროტეინები და ნახშირ-წყლები კი უფრო ძნელად მოინელებიან.

ხარი, ძროხა, ცხვარი ერთნაირად ინელებენ ერთსა-და-იმავე საკვებავს.

ცხენს და ღორს ხეჭეჭის მონელება უფრო უძნელდებათ ვიდრე მცოხნავ ცხოველებს, რადგან ამათი ფაშვი აღბობს ხეჭეჭს და მით ადვილებს მის მოხარშვა - მონელებას. რაც უფრო ნოკიერია საკვებავი იმდენი მის მონელებას ცხენიც და ღორიც ისევე ადვილად ახერხებენ როგორც მცოხნავი ცხოველები.

ჯიში, წლოვანობას არაფერი მაგრე რიგად გავლენა არა აქვთ ამ საქმეში. მაინცა და მაინც ამ სხვადასხვაობით გამოწვეული განსხვავება საჭმლის მონელებაში. 30/-0ზე ზევით არ ადის.

როგორც ეტყობა, არც ხშირად ჭმევას, ოლონდ საკვებავი ზომაზე გადაკარბებით ნუ იქნება მიღებული, არც დალეული წყლის რაოდენობას არავითარი გავლენა არა აქვთ საკვების მეტნაკლებად მონელებაზე.

ჯანსაღი ცხოველები სვამენ მხოლოდ იმდენს წყალს, რამდენის მონელებაც შეუძლიანთ.

ალერსიანად მოგცევა ხელს უწყობს ცხოველს საჭმლის მონელებაში, შეშინება-დაფრთხობა კი აფერხებს მას.

მონელება საჭმლისა სხვაა, მარგებლობა სხვა. ამ ორი მოგლენის ერთ-მანეთში არევა არ შეიძლება.

საზრდოობა

ყოველმხრივი შესწავლა იმ ზედმოქმედებისა, რომელსაც ახდენს საკვებავი ცხოველის სხეულზე, უსათუოდ თხოულობს ვიცადეთ, როგორ გამოვიანგარიშოთ ის შემოსავალი, რომელიც შემოსდის ცხოველის სხეულს რაც ხანი ცხოველი იკვებება, რამდენი ეხარჯება ანუ აკლდება მას ნივთიერებების გარედ გამოსვლით სხეულიდან და რამდენი რჩება თვით სხეულში ანუ რამდენი ემატება მას ამ შემოსავლიდან.

ასეთ ანგარიშის მოსახდენად ეხლანდელი მეცნიერები ხმარობენ ერთგვარ მანქანას, რომელსაც სახელად რესპირატორი ჰქიან და რომლის შემწეობით იგებენ რა ზომის ჰაერი, საკვებავები და წყალი მიიღო ცხოველმა. ამ მანქანით იზომება აგრძევე ცხოველისაგან ამონასუნთქი ჰაერიც და იწონება-იკვლევა მაგარი და თხელი განვალი მის სხეულისა.

ასეთ რესპირატორის საშუალებით შემდეგი გამოკვლევა იყო მომხდარი: მოათავსეს 24 საათით ამ მანქანაში ხარი, რომელიც იწონიდა 1570 გირვანქას და მისცეს მას საჭმელად 11 გირვანქა სამყურა ბალახის თივა, 13,2 გირვანქა შერიის ბურდო, 8,2 გირვანქა დაფული ცერცვი, 2,13 უნცი მარილი, დალია ხარმა 123,7 გირვანქა წყალი და შეისუნთქა 16 გირვანქა მეავბალი.

მთელი ამ შემოსავლიდან ხარმა შეი. მატა საერთოდ 2,28 გირვანქა. ამ შემატებული წონიდან 1,11 გირვანქას შეადგენდნენ მჭერ ხორცი, ქონი და მი-

ნერალური ნივთიერებანი, 1,17 გირ-
ვანქას ანუ ნახევარზე მეტს კიდე წყა-
ლი.

კალორიმეტრია

საკვებავების ღირსების ამოსაცნობათ
საჭიროა ვიცოდეთ რომელი საკვებავი
რამდენ სითბოს იძლევა საზოგადოდ.

კალორიმეტრი. — სითბოს გასაზომ
მანქანას ჰქვიან სახელად კალორიმე-
ტრი. ამ მანქანაში სუფთა მეავბადის
საშუალებით სწვავენ გამოსაკვლევად
აღებულ ნივთიერებას, წარმომდგარი
სითბო ათბობს წყალს და იზომება ტერ-
მომეტრით.

კალორი არის იმ ზომის სითბო, რა-
მოდენიც ერთ კილოგრამ წყალს გაათ-
ბობს 4 გრადუსზე ფარენგეიტის ტერ-
მომეტრით.

1000 კალორი არის ერთი ტერმო.

სხვადასხვა ნივთიერებების სითბოს
ენერგია ანუ მათი ქიმიური ენერგია
100 გირვანქა ნივთიერებაზე გამოან-
გარიშებით ასეთია:

100 გირვ.	ქვა-ნახშირი
(ანტრაციტი)	იძლე-
ვა.....	358,3 ტერმოს
" თივა.....	175,1 "
" ბურდო შვრიისა ,	
15% წყალით....	171,0 "
" სიმინდის ფქვილი ,	
15% წყალით....	170,9 "
" სელის თესლის ფქვი- ლი , 15% წყალით.	196,7 "
" სუფთა პროტეინი ,	
რომელიც იხარშება	186,0 "
" სუფთა ნახშირ-წყლე- ბი , რომელიც იხარ- შებიან .	186,0 "
" სუფთა ქონი	422,0 "

აქედან სჩანს რომ 100 გირვ. ანტ-
რაციტი იძლევა იმოდენა სითბოს, რა-
მოდენიც 358300 გირ. წყალს გაათ-
ბობს 40 ფარენგეიტის ტერმომეტრით
ანუ 8000 გირვანქამდე წყალს 32 გრა-
დუსიანს აიყვანს 212 გრადუსამდე იგი-
ვე ტერმომეტრით ე. ი. ყინვის წერტი-
ლიდან აიყვანს აღულებამდე.

სელის თესლის ფქვილი უფრო მეტ
სითბოს იძლევა ვიდრე სიმინდისა, რაც
იმითი უნდა ავხსნათ რომ სელის თესლს
უფრო მეტი ზეთი აქვს.

ქონი იძლევა ორჯერ მეტს სითბოს
პროტეინზე და ნახშირ-წყლებზე.

საზოგადოდ მიღებულია, რომ ქონი
როგორადაც სითბოს წარმოსადგენი
მასალა 2,25 ჯერ მაღლა სდგას ღირ-
სებით, ვიდრე ნახშირ-წყლები.

ენერგია წარმომდგარი ნივთიერე-
ბის დაწვით შეიძლება გაზომილ იქ-
მნას როგორადაც სიმძიმის ასაწევი ძა-
ლა.

ერთ მთელ ძალათ ითვლება იმო-
დენა ენერგიას, რამდენიც ერთ ტო-
ნა სიმძიმეს ერთ ფუტის სიმაღლეზე
ასწევს.

ერთი კალორი სითბო უფრის იმ-
დენს ენერგიას, რამდენიც იქმარებს
1,03 ტონა სიმძიმის ასაწევად 1 ფუ-
ტის სიმაღლეზე.

ერთი ტერმო ენერგია ჰყოფნის 1530
ტონას ერთ ფუტზე ასაწევად ანუ ერთ
ტონა სიმძიმეს 1530 ფუტის სიმაღლეზე
ასაწევად.

საქურადღებო ცნობები

უოზეფინა დე-მალინ, მადამ დიუ-პუი, შარლ კონიე, ბერგამოტ ესპერი-ნა.— ამ ჯიშის მსხვებმა წელს პირველად დაისხეს ბ-ნ ისათა ფურცელაძის სეხილის ბაღში. პირველი ამ ჯურთაგანი ბ-ნის ფურცელაძე შემთხოვნა „მოსავალი“ს აუ-დაქციაში სახეენებლად. შემოდგომაზე, რო-ცა იკრიფება ამ ჯიშის მსხალი, ჯერ ისევ თურმე მჯგასეა და არც გემთ, არც სურ-ნებლად არა აქვს. მაგრამ იანვარისა-თვის მშეგნივრად მწიფდება და საგანგე-ბოდ გემრიელდება. დამწიფებული ქაზე-ფინა დე-მალინ თურმე თო თვეზე მეტ სახს სხვებს ისე რომ არავითარი ხინჯი არ ეძღვა. ამ წელს ვე პირველად მოისხეს ფურცელაძის ბაღში გაშვებმა: ბანანმა, ლანზბერგის რენეტმა, ვაგნერის რე-ნეტმა, ედელბემერმა (ტანთლიას). მე-ტად შშვენიერი ნაეთვი ადმოჩნდა პირვე-ლი ამათგანი — ბანანი.

ეს ჯიშები ვისაც არა აქვს და არც უნახავს, ბ-ნ ფურცელაძესთან შეუძინანთ ნახონ.

საქონლის მუცლის შემობერვა. — საქო-ნელს მუცლის შემობერვა განსაკუთრებით მწვა-ნე საკვებავისაგან ემართება. მეტადრე თუ ბა-ლახი ნაწვიმი ან ნამიანია.

ჭამლობა. უპირველესად ყოვლისა ეცადე-ნით რომ ავადმყოფ საქონელს ბოჭინი გა-მოუწიოთ. ამისათვის აიღოთ გადაგრეხილი ტალი, წაუსით ზედ კუპრი ან საპინი და პირში ალვირის მზგავსად ამოსდეთ. პირიდან რომ არ გამოვარდეს, ტილის წვერი რქებ-ზედ შეუკარით. ამავე ტროს დასალევათ აძ-ლევენ საქონელს სხვადასხვა ჩაირად შეავე-ბულ წამლებსაც:

1) ერთი სტოლის კოვზი ნიშაურის სპირ-ტი, ერთ ბოთლ ჭმინდა ან საპონ გაჯსნილ

წყალში არეული ერთი სათის განძავლობაში ირჯერათ დაალევინეთ.

2) ორი-სამი სტოლის კოვზი სკიპიდარი ნახევარ ბოთლ არაული არეული დაალევინე-ბის წინ ერთ ბოთლ ცივ წყალში გაურიეთ და ისე ჩაყლაპეთ.

3) თითო ჩაის კოვზი კუპრი და ნავთი აუ-რიეთ ერთ ბოთლ წყალში და ერთ ჯირად დაალევინეთ.

4) ხუთი-ექვსი მისხალი სკიპიდარი გაუ-რიეთ ერთნახევარ ან ორ ბოთლ წყალში და ორჯერათ დაალევინეთ. *)

დამსკდარ ძუძუზე წასასმელი წამა-ლი. — სტოკოლმის საბეითალი ინსტიტუტის პროფესორი ე. ნისტრემი იძლევა ასეთ რჩევას:

როდესაც მეწველ ძროხას ძუძუბი აქვს დამსკდარი უნდა 5—10 მინუტით წინ მოწ-ველვამდე თბილი წყლით ჩამოებანოს ძუძუბი და ვაზელინით დაეზილოს.

მოწველვის შემდვერ ძუძუბი უნდა კარგად ჩამოვრეცხას წყალში გახსნილი ლიზოლი ერთ ლიტრ წყალზე და ბორნი გაზელინით დაუზი-ლოთ.

თუ ღრმად არ არის ძუძუბი დაპეტელი, საკმარისია თბილი წყლით დაულბოთ, ჩამო-უწმინდოვ ნამუშერები და მერე დაუზილოთ შემდეგი წასასმელით:

ცინკის ჟანგი	20 გრ.
სახამებელი	20 გრ.
ვაზელინი	40 გრ.
სალიცილის სიმჟავე . . .	2 გრ.

თუ დამსკდარი ძუძუბი დასიებულიცა აქვს ძაან და სტკივა, მაშინ ჯერ კომპრესი უნდა გა-უკეთდეს ძუძუზე ცინკის წყალში დასევებული ბაბით რამდენჯერმე და მერე ჩაცვათ ტყა-გის სათითო (მაგალითად ფერჩატკიდან აჭრილი სათითო). ესთი ჩასაცმელი ივარგებს, ცადია, მაშინ თუ შინ გიბრათ ძროხა. თუ გაშვებუ-

*) მუცლის გაბერვაზე უფრო ვრცლად წამლო-ბა ისილე «მოსავალი» 1911 წ., № 5

ლი ბორნი გაზელინი შეიძლება წაესვას ძუძუ-
ზე მხოლოდ ჩერა-ჩერა კა.

ლიმანის ხის ტილის წამალი. — ხშირად
ლიმანის ხებს ტილი და ხევევე ხოლმე და
აფუჭებს ძალიან. ამისი უებარი წამალია
შაბიამნი და ჩვეულებრივი საპანი, რომე-
ლიც უნდა ტოლ-ტოლად აურიოთ ერთმანეთ-
ში და წაუსვათ ხეს ღერო-ტოტებზე, სადაც
ტილი ასხედს. ერთი დღე-ღამის შემდეგ წამა-
ლი უნდა ჩამოიწმინდოს წყალში დასველებუ-
ლი ბამბით ან მჩერით და ტილი სრულიად
გაქრება.

საქონლის ტილი. — თუ ძროხას ან ხბოს
ტილი გაუჩნდა, მაშინ ასე უნდა უწამლოთ:
უმჯობესი იქმნება კბენარ-დახევეული საქონე-
ლი ჯერ გაპკრიფთ და შემდეგ ერთი წილი
ბენზინი ექვს წილ ზეთუნის ზეთში არეული
წაუსვათ ზედ. უკეთ გაკრეპა არ გეხერხე-
ბათ ამ შემთხვევაში მოამზადებთ მაგარ ნა-
ცარტუტას და შიგ ამოვლებულ წმინდა ხის
სავარცხლით დაუწყებთ ვარცხნას. ვარცხნის
დროს სავარცხლი ნაცარ-წყალში ხშირად
უნდა ამოავლოთ ხოლმე.

შეიძლება აგრძელებ ერთი წილი მწვანე სა-
პონი გაპტენათ სამ წილ ზემოხსენებულ ნაცარ
წყალში და ასე შეზავებულ წამლით მაგრად
დაზილოთ საქონელი.

სისხლის შესაყვენებელი საშუალებანი. თუ
ძან არ მოდის სისხლი, საკმარისია ცივი უბრა-
ლი წყლით ან ძმარდაკრული წყლით დაიბა-
ნოს ჭრილობა და სისხლი შესწყდება.

ხმარობენ აგრძელებ ცხელ წყალსაც, რო-
მელშიაც დასავლებენ ბამბას ან ტილს და
დადგენ ჭრილობას.

როცა ძანა სდის სისხლი, მაშინა კი მის
შესაყვენებლად უებარ საშუალებას შეადგენს
ეგრედილებული ერთნახევარ ქლორინიანი რკა-
ნის ხსნილი, რომელშიაც ამოავლებენ ხოლმე
ბამბას და ადებენ ჭრილობაზე. ასეთი ამო-
ვლებული ბამბა ყველა აფთიაქებში იყიდება
და ეძახიან რკინიან ბამბას (ჟელკვის თა-
ვათ).

თუ სისხლი წავარდა ხელშე ან ფეხზე, მა-
შინ ჭრილობის ზემთა თასმა უნდა გადაეჭი-
როს სხეულის ასოს, რომ მონადენი ჭრილო-

ბისაკენ სისხლი შეჩერდეს და ჭრილობა შეი-
კრას გამონადენი სისხლის შედედით.

**საქონლის სხვადასხვა სტკებაგების შე-
დაწება.** ვისაც სურს თავისი მეწველი ძრო-
ხა წესიერ საკვებავზე დააყენოს, მან უნდა
ისიც იცოდეს რომელ საკვებავს რამოდენი სი-
ნოყივრე აქვს.

საკვებაგების შესრდარებლად ამ მხრივ გა-
მოანგარიშებულია ცდით რომ როცა მაგალი-
თად ძროხას საჭმელად კარგი წმინდა თივა-
ებლევა, თითო ფურ ძროხის წონაზე თითო
გირვანქა საჭმელი თვით ძროხას უნდება თავის
გამოკვებაზე საკუთრივ და მხოლოდ რაც ამა-
ზე ზემდეტად მიეცემა საჭმელად, მარტო
იქიდან კეთდება რძე.

გათვევათ მაგალითად ჩვილი ხბოს დედა იწო-
ნის 20 ფუთს. ასეთ ძროხას თავის გამოსა-
კვებად მოუნდება 20 გირვანქა თივა და თუ
ამაზე ზედმეტად გათვევათ სამი გირვანქა პუ-
რის ქატო მიეციო საჭმელად, თითო გირ-
ვანქა ქატოზე ოთხ გირვანქას, ესე იგი სამ
გირვანქა ქატოზე ჩილი ხბოს დედა თორმეტ
გირვანქა რძეს მოიღვამს. რომ ორი გირ-
ვანქაც ზეთ გამოხდილი სელის თესლი მიგვე-
ცა შესაჭმელად, აქეანაც თითო გირვანქაზე
5 გირვანქა რძეს, ესე იგი 10 გირვანქით მეტს
ანუ სულ 22 გირანქა რძეს მოიღვამდა და
თუ ამ საჭმლის გარდა კიდევ 15—20 გირ-
ვანქა ჭარხლსაც შევაჭმელით, მაშინ ერთ
მთელ ვერა რძეს მოიწველიდა.

ამგვარი გამოცდით მიღებულია რომ ჩვილი
ხბოს დედა და ბერწი მეწველე იძლევიან რძეს:

ჩვილი

1 გირ.	საშუალო ლირ-	ხბოს დედა.	—ბერწი.
სების თივიდან		1 1/4 გირ.	—1 გირ.

1 გირ	სამყურა ბალაზის	თივიდან	1 3 „
-------	-----------------	-----------------	-------

1 გირ	პურის ქატოდან	4	„ 3 „
-------	---------------	---	-------

1 გირვ.	ზეთგამოხდილი	სელის ან მზეუპრიტეს თეს-	ლიდან 5	„ 4 „
---------	--------------	--------------------------	-----------------	-------

1 გირ.	დატული შერიი	დან, ქერიდან	4 1/2	„ 3 1/2 „
--------	--------------	----------------------	-------	-----------

1 გირ.	ჭარხლიდან 1 1/2	„ 1/3 „
--------	-----------	---------------	---------

1 გირ.	ჭარხლიდან 2/3	„ 1/2 „
--------	-----------	-------------	---------

1-ლ იანვრიდან ქ. ლონდონში დაარსდა ქართული სამეცნიერო უკრნალ «მოსავალი»-ს

ପ୍ରାଚୀନ ଶାସକି

საფრანგეთისა, კორპუსისა და ინგლისისათვის.

აგენტურას მიზნად დასახული აქვს შემდეგი:

- 1) მოუნახოს ბაზარი ჩვენ სამეურნეო ნაწარმოებს დასავლეთ ეკროპაში;
 - 2) დაეხმაროს ჩვენს მეურნეს სამეურნეო მანქანების, იარაღების და სხვა მეურნეობაში საჭირო ნივთების ხელსაყრელ ფასად შეძენაში;
 - 3) დაეხმაროს სასოფლო კოოპერატივებს თავიანთ ნაწარმოების საზღვარგარედ გასაღებაში;
 - 4) მიაწოდოს ჩვენებურ მეურნეს ცნობები უცხოელ ფირმების შესახებ და შეამავრობა გარწიოს საქონლის გასაღებაში;

აგენტურა მზად არის საჭირო ცნობები მიაწოდოს ქართველ მეურნეებს, ყოველ კერძო შეკითხვებზე. მიწერ-მოწერა შეიძლება სწარმოებდეს ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

අභ්‍යන්තර මිසේම්කම්පන් :

SCHENKER & GHAMBASHIDZE

61. MARK LANE.

LONDON, E. C.

ଓଡ଼ିଆ କାଥିଲେ ଏହାରେ

LIVIUS, LONDON.

၀၉၆၂၁ၫ၀ၬ ၈၁၆၃၀

კავკასიის სამშერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში

၀ၤ၀၈၅၂၄

ნამდვილი ფრანგული იონჯის საუკეთესო თესლი პროგრამის გამო-
წერილი. (3-3)

(3—3)

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ଏବଂ ଉତ୍ସବ-ମହିମା

უურნალ „მოსკვლებ“ 1912 წლისათვის მარტო ტფილისში.

რედაქცია ეცდება წლის თავზე ძირითასი პრემია მიაწოდო! ხელის-მომწერლებს მსურველთ შეიძლიან შეიძინონ წარსული წლების „მოსაგალი“.

မတရော် ကြမ်းလျှော်စီ 1909 ဖြေစာ ၁၂၄၉ မာန. ၅၀ ပါ., ပုဂ္ဂနိုင်မြို့ ၂ ရ. ၂၃၁

1910 " " 2 მან. — " ყდაკაზმული 2 " 50

" " 1910 " " 2 մաճ. 50 զ., կառագածմայլո 3 " — ;

ଲେଖକଙ୍କରୀର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ପ୍ରେସରି କୁଳମାରୀ ଉପରେ ଦେଇଥିଲୁଗା କାହାରୁକୁଟିରୁଣ୍ଡିଲୁଗା ଯେତେବେଳେ ୧୦ ଟଙ୍କା, ପଞ୍ଚଶତ—୫ ଟଙ୍କା, ଦାମଦା—୫ ଟଙ୍କା, କାର୍ତ୍ତିନ୍ଦ୍ରିୟିଲ୍ଲି—୫ ଟଙ୍କା

ନେଇବୁକ୍ରିପ୍ତିଶିଳ୍ପ ର୍ଯ୍ୟାନ୍ଦେହା ଶେମଲ୍ଲେଗି ଗାମିକ୍ରେମାନି;

არითმეტიკული კრებული — 50 კ., ქიმია პროფ. როსკოსი — 30 კ., შევიცარის
ძირითადი კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან — 25 კ.

ରେଡାଙ୍କ-ଗାମୋପ୍ରେମଣ୍ଡି ପ. ନ. ରୁତ୍ନାଳେଶ୍ୱର